

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2026 წლის 27 იანვარი

დაბა თიანეთი

„თიანეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „თიანეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №60 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 30/12/2025, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.154.016580) დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს თან დართული რედაქციით:

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თიანეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზი დიდებაშვილი

თავი I. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი		2025 წლის ფაქტი		2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
I. შემოსავლები	19825,9	22108,3	8350,8	13757,5	19529,4	6121,0	13408,3



გადასახადები	10594,6	12074,8	0,0	12074,8	12841,6	0,0	12841,6
გრანტები	8903,0	9520,1	8350,8	1169,3	6327,8	6121,0	206,7
სხვა შემოსავლები	328,3	513,4	0,0	513,4	360,0	0,0	360,0
II. ხარჯები	11290,1	13111,5	308,9	12802,6	13761,5	871,0	12890,5
შრომის ანაზღაურება	2548,6	2795,3	0,0	2795,3	3090,2	0,0	3090,2
საქონელი და მომსახურება	1917,0	1896,7	308,9	1587,8	2916,3	871,0	2045,3
პროცენტი	8,0	4,4	0,0	4,4	1,0	0,0	1,0
სუბსიდიები	5525,0	6783,5	0,0	6783,5	6056,7	0,0	6056,7
გრანტები	273,4	170,8	0,0	170,8	122,2	0,0	122,2
სოციალური უზრუნველყოფა	741,5	1250,4	0,0	1250,4	1282,6	0,0	1282,6
სხვა ხარჯები	276,7	210,5	0,0	210,5	292,6	0,0	292,6
III. საოპერაციო საღდო	8535,7	8996,8	8041,9	954,9	5767,9	5250,0	517,8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8906,1	9166,8	7943,0	1223,8	8849,8	7167,0	1682,9
ზრდა	9014,2	9172,6	7943,0	1229,5	8859,8	7167,0	1692,9
კლება	108,1	5,8	0,0	5,8	10,0	0,0	10,0
V. მთლიანი საღდო	-370,4	-170,0	98,9	-268,8	-3082,0	-1916,9	-1165,0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-410,8	-210,4	98,9	-309,3	-3102,2	-1916,9	-1185,2
ზრდა	167,6	98,9	98,9	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	167,6	98,9	98,9	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	578,4	309,3	0,0	309,3	3102,2	1916,9	1185,2
ვალუტა და დეპოზიტები	578,4	309,3	0,0	309,3	3102,2	1916,9	1185,2
VII. ვალდებულებების ცვლილება	-40,5	-40,5	0,0	-40,5	-20,2	0,0	-20,2
კლება	40,5	40,5	0,0	40,5	20,2	0,0	20,2
საშინაო	40,5	40,5	0,0	40,5	20,2	0,0	20,2
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის



ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
შემოსულობები	19934,0	22114,1	8350,8	13763,3	19539,4	6121,0	13418,3
შემოსავლები	19825,9	22108,3	8350,8	13757,5	19529,4	6121,0	13408,3
არაფინანსური აქტივების კლება	108,1	5,8	0,0	5,8	10,0	0,0	10,0
გადასახდელები	20344,8	22324,5	8251,9	14072,6	22641,5	8038,0	14603,6
ხარჯები	11290,1	13111,5	308,9	12802,6	13761,5	871,0	12890,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	9014,2	9172,6	7943,0	1229,5	8859,8	7167,0	1692,9
ვალდებულებების კლება	40,5	40,5	0,0	40,5	20,2	0,0	20,2
ნაშთის ცვლილება	-410,8	-210,4	98,9	-309,3	-3102,2	-1916,9	-1185,2

მუხლი 3. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 19 529,4 ათასი ლარის ოდენობით.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
შემოსავლები	19825,9	22108,3	8350,8	13757,5	19529,4	6121,0	13408,3
გადასახადები	10594,6	12074,8	0,0	12074,8	12841,6	0,0	12841,6
გრანტები	8903,0	9520,1	8350,8	1169,3	6327,8	6121,0	206,7



სხვა შემოსავლები	328,3	513,4	0,0	513,4	360,0	0,0	360,0
------------------	-------	-------	-----	-------	-------	-----	-------

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

თიანეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 12 841,6 ათასი ლარის ოდენობით.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
გადასახადები	10594,6	12074,8	0,0	12074,8	12841,6	0,0	12841,6
ქონების გადასახადი	488,3	697,8	0,0	697,8	600,0	0,0	600,0
საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	336,0	503,4	0,0	503,4	500,0	0,0	500,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	25,2	39,2	0,0	39,2	25,0	0,0	25,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	50,5	80,6	0,0	80,6	30,0	0,0	30,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	76,7	74,5	0,0	74,5	45,0	0,0	45,0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე (დ.ღ.გ)	10106,4	11377,1	0,0	11377,1	12241,6	0,0	12241,6

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 6 327,8 ათასი ლარის ოდენობით

(თანხა ათას ლარებში)

	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



დასახელება			მათ შორის		მათ შორის		
	სულ	სულ	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	სულ	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
გრანტები	8903,0	9520,1	8350,8	1169,3	6327,8	6121,0	206,7
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	8903,0	9520,1	8350,8	1169,3	6327,8	6121,0	206,7
მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	413,5	1030,6	239,1	791,5	477,7	271,0	206,7
სპეციალური ტრანსფერი	0,0	600,0	0,0	600,0	0,0	0,0	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი	413,5	430,6	239,1	191,5	477,7	271,0	206,7
კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8489,5	8489,5	8111,7	377,8	5850,0	5850,0	0,0
კაპიტალური ტრანსფერი (მ/შ)	7988,8	8109,5	7731,7	377,8	5850,0	5850,0	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	7530,5	7347,4	7347,4	0,0	5850,0	5850,0	0,0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	200,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	258,4	762,1	384,3	377,8	0,0	0,0	0,0
სპეციალური ტრანსფერი (მ/შ)	500,6	380,0		0,0	0,0	0,0	0,0



			380,0				
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	500,6	380,0		0,0	0,0		0,0
			380,0			0,0	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 360,0 ათასი ლარის ოდენობით

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
		სულ	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	სულ	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
სხვა შემოსავლები	328,3	513,4	0,0	513,4	360,0	0,0	360,0
რენტა	229,9	297,3	0,0	297,3	272,0	0,0	272,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16,4	19,0	0,0	19,0	20,6	0,0	20,6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	15,0	15,3	0,0	15,3	17,6	0,0	17,6
სანებართვო მოსაკრებელი	3,1	4,3	0,0	4,3	2,6	0,0	2,6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	11,9	10,9	0,0	10,9	15,0	0,0	15,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1,4	3,7	0,0	3,7	3,0	0,0	3,0
საქციები (ჯარიმები და საურავები)	8,5	91,5	0,0	91,5	45,0	0,0	45,0
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	73,4	105,7	0,0	105,7	22,4	0,0	22,4

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 13 761,5 ათასი ლარის ოდენობით



დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
ხარჯები	11290,1	13111,5	308,9	12802,6	13761,5	871,0	12890,5
შრომის ანაზღაურება	2548,6	2795,3	0,0	2795,3	3090,2	0,0	3090,2
საქონელი და მომსახურება	1917,0	1896,7	308,9	1587,8	2916,3	871,0	2045,3
პროცენტი	8,0	4,4	0,0	4,4	1,0	0,0	1,0
სუბსიდიები	5525,0	6783,5	0,0	6783,5	6056,7	0,0	6056,7
გრანტები	273,4	170,8	0,0	170,8	122,2	0,0	122,2
სოციალური უზრუნველყოფა	741,5	1250,4	0,0	1250,4	1282,6	0,0	1282,6
სხვა ხარჯები	276,7	210,5	0,0	210,5	292,6	0,0	292,6

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 8 849,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს 8 859,8 ათასი ლარის ოდენობით

(თანხა ათას ლარებში)

პრო-გრამული კოდი	პრიორიტეტები/პროგრამები	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და სარეთო დანიშნულების ხარჯები	19,8	34,0	45,7
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	19,8	34,0	45,7
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8511,2	8239,9	7657,3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4162,1	4733,3	2350,7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1987,9	533,5	2570,6



02 03	გარე განათება	340,7	485,8	3,1
02 04	მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარება	258,4	0,0	315,0
02 05	მშენებლობა, შენობების და სახლების რეაბილიტაცია	550,4	439,0	42,0
02 07	კეთილმოწყობა	16,2	0,0	6,5
02 09	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები	314,9	452,5	775,0
02 10	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, ასევე მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	554,0	751,8	1578,0
02 11	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	326,6	844,2	16,4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	75,6	65,0	65,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	7,1	5,0	5,0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	68,5	60,0	60,0
04 00	განათლება	140,0	67,9	413,1
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	12,9	0,0	10,0
04 05	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია	127,1	67,9	403,1
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	266,1	765,8	678,7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	199,1	555,4	678,7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	67,1	210,4	0,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,5	0,0	0,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0	0,0
06 02	სოციალური დაცვა	1,5	0,0	0,0
	სულ ჯამი	9014,2	9172,6	8859,8

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 10,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი		2025 წლის ფაქტი		2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი	საბიუჯეტო სახსრები		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი	საბიუჯეტო სახსრები



			სახსრები	ფონდების გარეშე		სახსრები	ფონდების გარეშე
არაფინანსური აქტივების კლება	108,1	5,8	0,0	5,8	10,0	0,0	10,0
ძირითადი აქტივები	7,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შენობა-ნაგებობები	7,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	100,7	5,8	0,0	5,8	10,0	0,0	10,0
მიწა	100,7	5,8	0,0	5,8	10,0	0,0	10,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

(თანხა ათას ლარებში)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა		
				სულ	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები
7.0	მთლიანი ხარჯები	20344.8	22324.5	22641.5	14603.6	8038.0
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3484.9	3690.9	4205.8	4205.8	0.0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3436.5	3646.1	4184.6	4184.6	0.0
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3436.5	3646.1	4134.6	4134.6	0.0
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	50.0	50.0	0.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	48.4	44.8	21.2	21.2	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6199.3	7074.6	5913.9	1548.8	4365.1



7.4.5	ტრანსპორტი	4420.0	4832.5	2770.7	420.0	2350.7
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4420.0	4832.5	2455.7	105.0	2350.7
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1779.3	2242.2	3143.2	1128.8	2014.4
7.5	გარემოს დაცვა	954.9	1154.5	1010.0	1010.0	0.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	876.5	1141.5	983.9	983.9	0.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	78.5	13.0	26.1	26.1	0.0
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3805.3	2615.0	3794.0	1190.3	2603.7
7.6.1	ბინათმშენებლობა	552.9	439.0	42.0	10.0	32.0
7.6.3	წყალმომარაგება	2659.9	1418.1	3433.5	864.9	2568.6
7.6.4	გარე განათება	592.5	755.0	318.5	315.4	3.1
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	3.0	0.0	0.0	0.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	178.4	194.6	206.3	206.3	0.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	178.4	194.6	206.3	206.3	0.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2146.1	3028.0	2769.6	2090.9	678.7
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	754.8	1228.4	1288.2	609.5	678.7
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1341.3	1742.6	1431.4	1431.4	0.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50.0	57.0	50.0	50.0	0.0
7.9	განათლება	2358.3	2748.1	2873.7	2483.3	390.4
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1963.4	2407.3	2139.6	2139.6	0.0
7.9.2	ზოგადი განათლება	394.9	318.1	694.1	303.7	390.4
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	362.2	318.1	694.1	303.7	390.4
	სხვა არაკლასიფიცირებული					



7.9.8	საქმიანობა განათლების სფეროში	32.7	22.7	40.0	40.0	0.0
7.10	სოციალური დაცვა	1217.7	1818.7	1868.3	1868.3	0.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1217.7	1818.7	1868.3	1868.3	0.0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 5 767,9 ათასი ლარის, ხოლო მთლიანი სალდო -3 082,0 ათასი ლარის ოდენობით.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი		2025 წლის ფაქტი		2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
საოპერაციო სალდო	8535,7	8996,8	8041,9	954,9	5767,9	5250,0	517,8
მთლიანი სალდო	-370,4	-170,0	98,9	-268,8	-3082,0	-1916,9	-1165,0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -3 102,2 ათასი ლარის ოდენობით

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი		2025 წლის ფაქტი		2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
ფინანსური აქტივების ცვლილება	-410,8	-210,4	98,9	-309,3	-3102,2	-1916,9	-1185,2
ზრდა	167,6	98,9	98,9	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და							



დეპოზიტები	167,6	98,9	98,9	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	578,4	309,3	0,0	309,3	3102,2	1916,9	1185,2
ვალუტა და დეპოზიტები	578,4	309,3	0,0	309,3	3102,2	1916,9	1185,2

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს -20,2 ათასი ლარის ოდენობით.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის ფაქტი		2025 წლის ფაქტი		2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
ვალდებულებების ცვლილება	-40,5	-40,5	0,0	-40,5	-20,2	0,0	-20,2
კლება	40,5	40,5	0,0	40,5	20,2	0,0	20,2
საშინაო	40,5	40,5	0,0	40,5	20,2	0,0	20,2

საშინაო ვალდებულება - 20,2 ათასი ლარი, წარმოადგენს 2017 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითად თანხას. 2025 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის მთლიანი ვალდებულება (ვალის ნაშთი) შეადგენს 60,7 ათ. ლარს, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრისათვის მთლიანი ვალდებულების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 20,2 ათ. ლარს.

თავი II. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. „ინფრასტრუქტურის განვითარების“ პრიორიტეტისათვის (პროგრამული კოდი 02 00) განისაზღვროს 9 707,9 ათასი. ლარი.

თიანეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და განვითარება. ამიტომ აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის, წყლის სისტემების, გარე განათების სისტემების და შენობა-ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა; მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები; სარიტუალო ღონისძიებები; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები. ასევე, არსებული



ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

1. „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 01) განისაზღვროს 2 455,7 ათასი ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს საავტომობილო გზების და ქუჩების მოხრეშვა-მოსწორებას; ზამთარში, დიდთოვლობის დროს, გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას; საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე საგზაო მონიშვნებს და საგზაო ნიშნების მოწყობას; გზებზე სათვალთვალო ვიდეო-კამერების შექმნა-მონტაჟს და მოვლა-პატრონობას.

1.1.1 „გზების მიმდინარე შეკეთება, მოვლა-შენახვის“ (პროგრამული კოდი 02 01 01) ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 105,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გზების, ქუჩების, ხიდების, ბოგიერების მოვლა-შენახვის სამუშაოებს, რაც გულისხმობს: მოასფალტებული გზების, ქუჩების, ხიდების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-შეკეთებას; არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთარში გზებზე თოვლის საფარის გაწმენდას; საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე საგზაო მონიშვნებს და საგზაო ნიშნების მოწყობას; გზებზე სათვალთვალო ვიდეო-კამერების ექსპლუატაციის ხარჯებს.

1.1.2 „გზების მშენებლობა, რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს - 2 350,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 01 02)

პროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოასფალტების და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

1.2 „წყლის სისტემების განვითარების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 02) განისაზღვროს 3 433,5 ათასი ლარი

პროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის და სანიაღვრე სისტემების კაპიტალურ შეკეთებას, ახალი სისტემების მოწყობას. ახალი სისტემების მშენებლობას, არსებულის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას და ექსპლუატაციის ხარჯებს. სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაოებს.

1.2.1 „სასმელი წყლით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 02 01) განისაზღვროს 3 433,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის ახალი სისტემების მშენებლობას, არსებულის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას და ექსპლუატაციის ხარჯებს. სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაოებს.

1.2.1.1 „წყლის სისტემების ექსპლოატაციის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 02 01 01) განისაზღვროს 862,9 ათასი ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე წყალსადენის სისტემების ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები. სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაოები.

1.2.1.1.1 „წყლის სისტემების მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 02 01 01 01) განისაზღვროს 614,3 ათასი ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე წყალსადენის სისტემების მოვლა-შენახვის, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები. სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაოები.

1.2.1.1.2 „წყლის სისტემების ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 02 01 01 02) განისაზღვროს 248,6 ათასი ლარი.



ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყლის ჭაბურღილების ელექტრო ენერჯის ხარჯი.

1.2.1.2 „წყლის სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 02 01 02) განისაზღვროს - 2 570,6 ათასი ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების კაპიტალურ შეკეთებას, ახლის მშენებლობას. არსებული წყლის ჭაბურღილების ელექტრო ენერჯის აბონენტად რეგისტრაციის ღონისძიებებს.

1.3 „გარეგანათების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 03) განისაზღვროს 318,5 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის ექსპლოატაციისა და განვითარებისათვის საჭირო ხარჯები.

1.3.1 „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 03 01) განისაზღვროს 315,4 ათასი ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების სისტემების მოვლა-შენახვას სამუშაოებს: მწყობრიდან გამოსული ნათურების შეცვლას, დაზიანებული და ამორტიზირებული ბოძების შეკეთებას/შეცვლას, დაზიანებული სადენების აღდგენა-შეკეთებას. მოხმარებული ელექტრო ენერჯის ხარჯის დაფინანსებას.

1.3.1.1 „გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 03 01 01) განისაზღვროს 75,0 ათასი ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვის სამუშაოებს: მწყობრიდან გამოსული ნათურების შეცვლას, დაზიანებული და ამორტიზირებული ბოძების შეკეთებას/შეცვლას, დაზიანებული სადენების აღდგენა-შეკეთებას.

1.3.1.2 „გარე განათების ქსელის ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 03 01 02) განისაზღვროს 240,4 ათასი ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ელექტრო ენერჯის ხარჯი.

1.3.2 „გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა, რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 3,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციას.

1.4 „მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 315,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამა ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების შეძენას.

1.4.1 „მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განახლების“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 315,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების შეძენას

1.5 „მშენებლობა, შენობების და სახლების რეაბილიტაცია“ პროგრამისთვის განისაზღვროს 42,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -02 05)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული და მრავალბინიანი შენობების, მათი მიმდებარე ტერიტორიების და სხვა მუნიციპალური შენობა-ნაგებობების მშენებლობის,



კეთილმოწყობის და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

1.6 „კეთილმოწყობის“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი -02 07) განისაზღვროს 56,5 ათასი ლარი

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი სივრცეების: სკვერების, პარკების, მუნიციპალიტეტის შესასვლელების მოვლა-შენახვას, კეთილმოწყობას.

1.6.1 „საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 07 01) განისაზღვროს 56,5 ათასი ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი სივრცეების: სკვერების, პარკების, მუნიციპალიტეტის შესასვლელების მოვლა-შენახვას, კეთილმოწყობას.

1.7 „სარიტუალო ღონისძიებების“ პროგრამისათვის განისაზღვროს (პროგრამული კოდი 02 08) 10,3 ათასი ლარი

პროგრამა ითვალისწინებს სასაფლაოების მოვლა-შენახვის სამუშაოებს. მათ შორის დაზიანებული ღობის შეკეთების, გათიბვის, გასუფთავების. შეწამვლის და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოებს.

1.7.1 „სასაფლაოების მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 08 01) განისაზღვროს 10,3 ათასი ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბა თიანეთის სასაფლაოს მოვლა-შენახვის სამუშაოებს. მათ შორის დაზიანებული ღობის შეკეთების, გათიბვის, შეწამვლის და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოებს.

1.8 „სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 02 09) განისაზღვროს 795,7 ათასი ლარი

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, შესრულებული სამუშაოების საექსპერტო-საზედამხედველო მომსახურების ხარჯებს.

1.9 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, ასევე მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 2 264,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -02 10)

პროგრამა ითვალისწინებს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის სასმელი წყლის სისტემების, გამანაწილებელი ქსელის და სათავე-ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაციას, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, სოფლების შიდა და დამაკავშირებელი გზების, ხიდების და გადასასვლელების მიმდინარე შეკეთების და სარეაბილიტაციო სამუშაოებს და სკვერების და მოწყობის სამუშაოებს. ასევე მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების გათვალისწინებით, იმ პროექტ(ებ)ის განხორციელება, რომელიც შეირჩევა მერის წარმომადგენლ(ებ)ის მეშვეობით, მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად.

1.10 „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 16,4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -02 11)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის აღდგენის ღონისძიებები.

2.0 „დასუფთავება და გარემოს დაცვის“ პრიორიტეტისათვის (პროგრამული კოდი 03 00) განისაზღვროს 1 010,0 ათასი ლარი.



მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტში ხორციელდება გარემოს დასუფთავების, მწვანე ნარგავების დარგვის და არსებულის მოვლა-პატრონობის, თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწესიეროდ დარჩენილი ცხოველების (ძაღვების) პოპულაციის მართვის ღონისძიებები.

2.1 „დასუფთავება და ნარჩენების გატანის“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 03 01) განისაზღვროს 923,9 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სკვერების და ქუჩების დაგვა-დასუფთავება, სანიაღვრე არხების გაწმენდის, გზისპირებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში ბალახის გათიბვის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და დასახლებიდან მოშორებით ნაგავსაყრელზე გატანის სამუშაოები.

2.2 „მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 03 02) განისაზღვროს 10,0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალი ხეების, გაზონების, ყვავილების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა, არსებულის მოვლა-პატრონობა.

2.3 „კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში“ (პროგრამული კოდი 03 03) პროგრამისათვის განისაზღვროს 60,0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების შექმნა-განახლება.

2.4 „მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის“ (პროგრამული კოდი 03 04) პროგრამისათვის განისაზღვროს 16,1 ათასი ლარი

პროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწესიეროდ დარჩენილი ცხოველების (ძაღვების) პოპულაციის მართვის ღონისძიებებს: თავშესაფარში ან ვეტერინარულ კლინიკაში გადაყვანას, სადაც ჩაუტარდება სტერილიზაცია/კასტრაცია, ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია, დეჰელმენტიზაცია პარაზიტებზე, პოსტოპერაციული მოვლა. საჭირო პროცედურების შემდეგ იდენტიფიცირებული ცხოველები დაბრუნდებიან ბუნებრივ არეალში, აყვანის ადგილას.

3. „განათლების“ პრიორიტეტისათვის (პროგრამული კოდი 04 00) განისაზღვროს 2 873,7 ათასი ლარი

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომავალი თაობების განვითარებასა და განათლებას. ამ მიმართულებით ხორციელდება სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა. ასევე განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანთა წახალისება სხვადასხვა ფორმით.

3.1 „სკოლამდელი დაწესებულებები ხელშეწყობის“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 04 01) განისაზღვროს 2 139,6 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანება, რომლის შემადგენლობაშიც შედის 16 საბავშვო ბაგა-ბაღი, 2026 წელს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში ჩართული იქნება 240 ბავშვი. ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შესაქმნელად, ორგანიზაცია უზრუნველყოფს უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნას; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვას; სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებების და დამოკიდებულებების სწავლება-ჩამოყალიბებას; დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და შრომითი პირობების გაუმჯობესებას.

3.2 „განათლების ღონისძიებების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 04 03) განისაზღვროს 40,0 ათასი ლარი

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების ორგანიზებას. ამ პროექტებში გამარჯვებულთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი ან/და ფასიანი



საჩუქრებით. წარმატებული სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების და საგანმანათლებლო სფეროში ღვაწლმოსილი პირების წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრებით.

3.3 „საჯარო სკოლების ხელშეწყობის“ პროგრამისთვის განისაზღვროს 271,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0404)

პროგრამა ითვალისწინებს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის ღონისძიებების.

3.4 „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის“ პროგრამისთვის განისაზღვროს 423,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 05)

პროგრამა ითვალისწინებს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელებას.

4.0 „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების“ პრიორიტეტისათვის (პროგრამული კოდი 05 00) განისაზღვროს 2 769,6 ათასი. ლარი

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურული მიმართულებების მხარდაჭერა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან. ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში. ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და სპორტის სფეროების განვითარების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას. სპორტული და კულტურული ობიექტების კეთილმოწყობას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას, რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერას.

4.1 „სპორტის სფეროს განვითარების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 01) განისაზღვროს 1 288,2 ათასი. ლარი

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტის სახეობების პოპულარიზაციას; სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნას; მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული აქტივობების ორგანიზებას; რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეების მიღების და წარმატებული სპორტსმენების, პარასპორტსმენების, გუნდების და მათი მწვრთნელების დაჯილდოების ხარჯებს.

4.1.1 „სპორტული დაწესებულებები ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 01 01) განისაზღვროს 457,5 ათასი. ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული კლუბი „თიანეთის“ ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს სპორტსმენების სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნას. სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას. წარმატებული სპორტსმენების და ტრენერების წახალისებას. სპორტულ კლუბში ფუნქციონირებს სპორტის 10 წრე: ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის, კალათბურთის, ქართული ჭიდაობის, ტაეკვანდოს, შერეული საბრძოლო ხელოვნების, კიკბოქსინგის, ბადმინტონისა და ფრენბურთის წრეები. სულ ჩართულია 250 მოზარდი.

4.1.2 „სპორტული ღონისძიებების“ ქვეპროგრამისთვის (პროგრამული კოდი 05 01 02) განისაზღვროს 152,0 ათასი. ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზებას; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენებისთვის, მუნიციპალურ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეების მიღებასა და ტრანსპორტირებაში, ფინანსურ მხარდაჭერას; წარმატებული სპორტსმენების, პარასპორტსმენების, გუნდების და მათი მწვრთნელების დაჯილდოებას.



4.1.3 „სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა“ ქვეპროგრამისთვის განისაზღვროს 678,7 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული მოედნების მოწყობა, რეაბილიტაცია.

4.2 „კულტურის სფეროს განვითარების“ პროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 02) განისაზღვროს 1 481,4 ათასი. ლარი

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული განვითარების პროცესის ხელშეწყობის ღონისძიებები. ამ მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა ანსამბლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, აგრეთვე ტარდება კულტურული ღონისძიებები. ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ არსებული მდგომარეობა და ხელი შევუწყოთ მის მომავალ განვითარებას. ახალი ინიციატივების გამოვლენას, რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოსახლეობის ინტერესი და ჩართულობა.

4.2.1 „კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 02 01) განისაზღვროს 1 238,4 ათასი. ლარი

პროგრამა ითვალისწინებს კულტურული ობიექტების კეთილმოწყობის. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ტრადიციების შენარჩუნების, ახალგაზრდა თაობისთვის ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლის, საგამოცემლო საქმიანობის და რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერის ღონისძიებებს.

4.2.1.1 „სამუსიკო სკოლის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 02 01 01) განისაზღვროს 89,7 ათასი. ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ნიკო ქუმსიაშვილი სახელობის სამუსიკო სკოლის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები. სადაც მიმდინარეობს სწავლება საპორტეპიანო, თეორიული და ხალხური საკრავების მიმართულებით. სკოლაში ირიცხება 40 მოსწავლე.

4.2.1.2 „ბიბლიოთეკების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 02 01 02) განისაზღვროს 258,0 ათასი. ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება“, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი მთავარი და 16 სოფლის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკები ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. სოფელ სიმონინთხევის, სოფელ ახალსოფლის, სოფელ ზარიძეების, დაბა სიონის და მთავარ ბიბლიოთეკაში მკითხველს აქვს ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. დაგეგმილია ეტაპობრივად დანარჩენი ბიბლიოთეკების კომპიუტერებით და ინტერნეტით უზრუნველყოფა. წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები და თემატური გამოფენები. შემეცნებითი შეხვედრები სკოლებსა და ბალებში, ყოველწლიურად ხორციელდება წიგნადი ფონდის განახლება, მკითხველისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭირო ინვენტარის შეძენა.

4.2.1.3 „მუზეუმების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 02 01 03) განისაზღვროს 188,4 ათასი. ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების“ დაფინანსებას. გაერთიანებაში შედის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმი. ორგანიზაცია ახორციელებს სამუზეუმო ფონდების განახლებას, მუზეუმებზე არსებული ინფორმაციის შეგროვებას, განახლებას და სისტემატიზაციას, ვიზიტორების მიღებას. აწყობს ექსპედიციებს, რაც ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის და ტურისტებისათვის ადგილობრივი კულტურის გაცნობას.

4.2.1.4 „კულტურის ცენტრის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის (პროგრამული კოდი 05 02 01 04) განისაზღვროს 633,4 ათასი. ლარი



